

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №49/1  
ელექტრონული ტენდერის საშუალებით (CPV-18412000)

ქ. გორი

“ 28 “ მარტი” 2019 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთი მხრივ ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“, (მის: ქ. გორი, გურამიშვილის ქუჩა №5, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 417874973 (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „სბმ თიმ“ საიდ. კოდი 405181306 (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთ შეთანხმება შემდეგზე: 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში შემსყიდველმა გამოაცხადა **NAT190003869** ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე, კლასიფიკატორის CPV კოდი: **18412000** - **სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარების (სპორტული ტანსაცმელი)** სახელმწიფო შესყიდვაზე და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება შემდეგ თანხაზე: სახელშეკრულებო **31167,00 (ოცდათრთმეტათასასამოცდაშვიდი) ლარი** (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") -შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6. „ტექნიკური დოკუმენტაცია“ - მიმწოდებლის მიერ **NAT190003869** ელექტრონულ ტენდერი აუქციონის გარეშე სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1.2. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

### 2. შესყიდვის ობიექტი :

2.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარების (სპორტული ტანსაცმელი) სახელმწიფო შესყიდვა;

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ზუსტი აღწერა,ერთეულის ფასი და რაოდენობა მოცემულია ფასების ცხრილში (დანართიN:1), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 3. შესყიდვის ღირებულება და მიწოდების ვადები:

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **31167,00 (ოცდათრთმეტათასასამოცდაშვიდი) ლარს**.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში მიაწოდოს შემსყიდველს დანართი N:1 აღნიშნული საქონელი.

#### 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2019 წლის 31 მაისის ჩათვლით**.

#### 5. მომსახურების მიწოდების პირობები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი ქ. გორში გურამიშვილის ქ. N:5-ში

#### 6. წუნდებული მიწოდებული საქონელი:

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში აღწერილ მონაცემებს.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადებში, მაგრამ არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს წუნდებული შესყიდვის ობიექტის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

6.3. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

#### 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი (ინსპექტირების ჯგუფი). კერძოდ, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბ გორი“-ს შესყიდვების სპეციალისტი **ავთანდილ ლობჯანიძე**

7.2. ინსპექტირების ჯგუფი შესასყიდი საქონლის მიწოდების ინსპექტირებას ახდენს, საკუთარი შეხედულებისამებრ.

7.3. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით-საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

7.4. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი საექსპერტო კვლევა.

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

#### 8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. მისაწოდებელი საქონლის ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. საქონლის მიწოდება ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიწოდების ადგილის მიხედვით, კერძოდ ქ.გორში.

8.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის მიწოდებად არ ითვლება წუნდებული ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შეუსაბამო მომსახურების გაწევა. ასეთ შემთხვევაში აღნიშნულზე მიღება-ჩაბარების აქტი არ ფორმდება.

8.3. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირი - ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბ „გორი“-ს შესყიდვების სპეციალისტი **ავთანდილ ლობჯანიძე**

#### 9. ანგარიშსწორება

9.1. **დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.**

9.2. შემსყიდველი ვალდებულია ანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

9.3. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

9.4. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

9.5. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტობრივად მოწოდებული შესყიდვის ობიექტის მიხედვით. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს **10** სამუშაო დღის ვადაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9.6. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშ-ფაქტურა.

## **10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N:12 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4. ფასის გაზრდა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.5. ხელშეკრულების ღირებულების შემცირება დასაშვებია ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების ღირებულების გათვალისწინებით.

10.6. იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო რაოდენობის გაზრდა ან შემცირება, ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტობრივად მოწოდებული მომსახურების ღირებულების მიხედვით, ხოლო რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთეულის ფასი არ გაიზრდება.

10.7. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც განხორციელებულია ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## **11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

11.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და მოთხოვნილი ხარისხის შესაბამისად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

11.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების პირობების ამ მუხლში.

11.3. თუ მიმწოდებელი 6.2 პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ უზრუნველყოფის ინსპექტირების მიზნით წარმოდგენილი ეგზემპლარების შესაბამისობას ხელშეკრულების პირობებთან, შემსყიდველი შეწყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმებს მიმწოდებელს ხელშეკრულების საერთო თანხის **5%**-ის ოდენობით.

11.4. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების პირობებს ვერ შეასრულებს (შესრულების ვადა, ხარისხი) ან/და დაარღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის **5%**-

ის ოდენობით ან

ბ) ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ვადების გადაცილების ან 6.2 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.

11.5. თუ კი ხელშეკრულების 11.4. „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ვადის ფარგლებში პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების **2%** და იგი ვერ განახორციელებს მომსახურების სრულად მოწოდებას, და/ან არ გამოასწორებს აღმოჩენილ ხარვეზს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის **5%**-ის ოდენობით.

11.6. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.7. ამ მუხლის 11.6. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

## **12. ფორს-მაჟორი**

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოწახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## **13. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

#### 14. სხვა დებულებები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

14.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
<p>ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ საიდენტიფიკაციო კოდი: 417874973 მის: ქ. გორი, გურამიშვილის ქუჩა N5 ტელ: 0370 27 08 01; საბანკო რეკვიზიტები: ბანკის სახელმწიფო ხაზინა; ბ/კ TRESGE22</p> <p>ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს დირექტორი</p> <p>გია ისიანი</p>	<p>შ.პ.ს „სბმ თიმ“ ს/კ: 404981560 მის: ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძის 34, ბინა 30 ტელ: 599088806 ბანკი: სს საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგ .№ GE13BG0000000101428723</p> <p>შ.პ.ს. „სბმ თიმ“-ის დირექტორი</p> <p>ანნა კვაჭაძე</p>

დანართი №1

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	აღწერილობა	ზომა	მწარმოებელი კომპანია,წარმ ოშობის ქვეყანა	რაოდ.	ერთ.ფასი	ჯამი
1	ქურთუკი	მუქი ლურჯი. 100% პოლიესტერი. თბილი ქურთუკი. კაპიშონით,სრულ ელვა შესაკრავზე, მკლავების დაბოლოება მანჯეტებზე. გარე ჯიბეები ელვა შესაკრავზე. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	S-7; M-7; L-7	ესპანეთი/JOM A	21	158.00	3318.00
2	საწვიმარი	მუქი ლურჯი. 100% პოლიესტერი, სარჩული ბადე. სრულ ელვა შესაკრავზე, კაპიშონით. მკლავების დაბოლოება დარეზინებულ მანჯეტებზე. სარჩული უზრუნველყოფს ეფექტურ ვინტილაციას და ჰაერგამტარიანობას და ამავე დროს ინარჩუნებს სხეულის ტემპერატურას. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	S-7; M-7; L-7	ესპანეთი/JOM A	21	50.00	1050.00
3	სავარჯიშო შარვალი	მუქი ლურჯი, 100% პოლიესტერი. ვიწრო ტოტებით, დაბოლოება ელვა შესაკრავზე. ჯიბეები ელვა შესაკრავზე. შარვლის სათავე დარეზინებული, შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	S-14; M-14; L-14	ესპანეთი/JOM A	42	50.00	2100.00
4	სავარჯიშო ზედა	მუქი ლურჯი, 100% პოლიესტერი.გრძელი მკლავით, შიგნიდან ოდნავ დათბილული. მდგრადი საყელოთი.შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	S-7; M-7; L-7	ესპანეთი/JOM A	21	55.00	1155.00
5	სავარჯიშო მაისური	მუქი ლურჯი, მოკლე მკლავით. მომრგვალებული საყელო. არანაკლებ 60% კოტონი,არანაკლებ 40% პოლიესტერი. წელვადი, ტანზე მომდგარი. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	S-21; M-21; L-21	ესპანეთი/JOM A	63	22.00	1386.00
6	გამოსასვლელი ზედა	მუქი ლურჯი. 100% პოლიესტერი. მთლიან ელვა შესაკრავზე, შიგნიდან ოდნავ დათბილული. მდგრადი საყელოთი. მკლავების დაბოლოება მანჯეტებზე, სრულ ელვა შესაკრავზე. ჯიბეები ელვა შესაკრავზე. დაბოლოება მანჯეტზე. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	S-7; M-7; L-7	ესპანეთი/JOM A	21	70.00	1470.00
7	გამოსასვლელი შორტი	მუქი ლურჯი, 100% პოლიესტერი. სწორი სილუეტის. გვერდებზე ჯიბეები ელვა შესაკრავზე. შორტის სათავე დარეზინებული, შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	S-14; M-14; L-14	ესპანეთი/JOM A	44	42.00	1848.00
8	ქურთუკი	შავი ფერის. 100% პოლიესტერი. თბილი ქურთუკი. კაპიშონით,სრულ ელვა შესაკრავზე, მკლავების დაბოლოება მანჯეტებზე. გარე ჯიბეები ელვა შესაკრავზე. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	S-1; M-9; L-14; XL-12; XXL-1	ესპანეთი/JOM A	37	158.00	5846.00
9	საწვიმარი	შავი ფერის. 100% პოლიესტერი, სარჩული ბადე. სრულ ელვა შესაკრავზე, კაპიშონით. მკლავების დაბოლოება დარეზინებულ მანჯეტებზე. სარჩული უზრუნველყოფს ეფექტურ ვინტილაციას და ჰაერგამტარიანობას და ამავე დროს ინარჩუნებს სხეულის ტემპერატურას. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	S-1; M-10; L-16; XL-13; XXL-1	ესპანეთი/JOM A	41	50.00	2050.00

10	სავარჯიშო ზედა	შავი ფერის, 100% პოლიესტერი. გრძელი მკლავით, შიგნიდან ოდნავ დათბილული. მდგრადი საყელოთი. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	S-1; M-9; L-15; XL-10;	ესპანეთი/JOM A	35	55.00	1925.00
11	სავარჯიშო შარვალი	შავი ფერის, 100% პოლიესტერი. ვიწრო ტოტებით, დაბოლოება ელვა შესაკრავზე. ჯიბეები ელვა შესაკრავზე. შარვლის სათავე დარეზინებული, შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	S-2; M-11; L-16; XL-14;	ესპანეთი/JOM A	43	50.00	2150.00
12	სავარჯიშო მაისური	შავი ფერის, მოკლე მკლავით. მომრგვალებული საყელო. არანაკლებ 60% კოტონი, არანაკლებ 40% პოლიესტერი. წელვადი, ტანზე მომდგარი. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	S-3; M-20; L-26; XL-24	ესპანეთი/JOM A	73	22.00	1606.00
13	სავარჯიშო შორტი	შავი ფერის, 100% პოლიესტერი. სწორი სილუეტის, წელვადი. შორტის სათავე დარეზინებული. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	S-2; M-4; L-6; XL-4	ესპანეთი/JOM A	16	26.00	416.00
14	გამოსასვლელი ზედა	შავი ფერის, 100% პოლიესტერი. მთლიან ელვა შესაკრავზე, შიგნიდან ოდნავ დათბილული. მდგრადი საყელოთი. მკლავების დაბოლოება მანჟეტებზე, სრულ ელვა შესაკრავზე. ჯიბეები ელვა შესაკრავზე. დაბოლოება მანჟეტზე. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	S-1; M-2; L-5; XL-3	ესპანეთი/JOM A	11	70.00	770.00
15	გამოსასვლელი შორტი (ბრიჯი)	შავი ფერის, 100% პოლიესტერი. სწორი სილუეტის. გვერდებზე ჯიბეები ელვა შესაკრავზე. შორტის სათავე დარეზინებული, შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	M-7; L-11; XL-8	ესპანეთი/JOM A	26	45.00	1170.00
16	სათამაშო ფორმა მაისური	თეთრი, მოკლე მკლავით. სამკუთხედი საყელო, 100% პოლიესტერი. წელვადი, ტანზე მომდგარი. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	S-7; M-9; L-7	ესპანეთი/JOM A	23	51.00	1173.00
17	სათამაშო ფორმა (შორტი)	თეთრი, გვერდებზე ჩადგმული თეთრი ფერის კანტით. 100% პოლიესტერი. სწორი სილუეტის, წელვადი. შორტის სათავე დარეზინებული და ზონარ გაყრილი. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	S-7; M-9; L-7	ესპანეთი/JOM A	23	26.00	598.00
18	სათამაშო ფორმა გეტრი	თეთრი, ზედა ნაწილში ლურჯი კანტით. მასალა: 97% პოლიამიდი, 3% ელასტანი. რბილი, ელასტიური, იდეალური ფიქსაციით. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	42/45-4	ესპანეთი/JOM A	30	19.00	570.00
19	მეკარის ფორმა (მაისური)	ყვითელი ფერის, მოკლე მკლავით. სამკუთხედი საყელოთი, 100% პოლიესტერი. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	L-2	ესპანეთი/JOM A	2	56.00	112.00
20	მეკარის ფორმა (შორტი)	ყვითელი ფერის, 100% პოლიესტერი. სწორი სილუეტის, წელვადი. შორტის სათავე დარეზინებული და ზონარ გაყრილი. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	L-2	ესპანეთი/JOM A	2	26.00	52.00

21	მეკარის ფორმა(გეტრი)	ყვითელი ფერის. 96% პოლიესტერი, 4% ელასტანი. რბილი, ელასტიური, იდეალური ფიქსაციით. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	42/45 -4	ესპანეთი/JOM A	4	19.00	76.00
22	მეკარის ფორმა(მაისური)	შავი ფერის, მოკლე მკლავით. სამკუთხედი საყელოთი, 100% პოლიესტერი . შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	L-2	ესპანეთი/JOM A	2	56.00	112.00
23	მეკარის ფორმა (შორტი)	შავი ფერის, 100% პოლიესტერი. სწორი სილუეტის, წელვადი. შორტის სათავე დარეზინებული და ზონარ გაყრილი. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	L-2	ესპანეთი/JOM A	2	26.00	52.00
24	მეკარის ფორმა(გეტრი)	შავი ფერის. 96% პოლიესტერი, 4% ელასტანი. რბილი, ელასტიური, იდეალური ფიქსაციით. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	42/45-4	ესპანეთი/JOM A	4	19.00	76.00
25	მეკარის ფორმა (ელასტიკი)	შავი ფერის, 86% პოლიესტერი, 14% ელასტანი. შიგნით ჩასაცმელი მაისური, გრძელი მკლავით, მომრგვალებული საყელოთი. ტანზე მომდგარი, წელვადი. შესაძლოა ზედ განთავსებული იყოს ბრენდის (მწარმოებლის) აღმნიშვნელი ლოგო ან/და წარწერა.	L-2	ესპანეთი/JOM A	2	43.00	86.00
						ჯამი:	31167.00

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
<p>ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“  საიდენტიფიკაციო კოდი: 417874973  მის: ქ. გორი, გურამიშვილის ქუჩა N5  ტელ: 0370 27 08 01;  საბანკო რეკვიზიტები: ბანკის სახელმწიფო ხაზინა;  ბ/კ TRESGE22</p> <p>ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს დირექტორი</p> <p>გია ისიანი</p>	<p>შ.პ.ს „სბმ თიმ“</p> <p>ს/კ: 404981560  მის: ქ. თბილისი,თენგიზ აბულაძის 34,ბინა 30  ტელ: 599088806  ბანკი: სს საქართველოს ბანკი  ბანკის კოდი: BAGAGE22  ანგ .№ GE13BG0000000101428723</p> <p>შ.პ.ს. „სბმ თიმ“-ის დირექტორი</p> <p>ანნა კვაჭაძე</p>